**სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**ბრძანება №03-1735**

9-10-2013

ქ. თბილისი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე თამარ ოკროშიძის ჩარიცხვის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52$^{1}$-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 18 სექტემბრის №716 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 26 სექტემბრის №398875 წერილის (უნივერსიტეტში შემოსული 26.09.2013 №03-20308/13), თამარ ოკროშიძის მინდობილი პირის გია ხუციშვილის (სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი N130103845, რეგისტრაციის თარიღი 07.02.2013) 2013 წლის 8 ოქტომბრის №03-22335/13 განცხადების, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის გიორგი გვალიას 2013 წლის 8 ოქტომბრის №03-22348/13 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

**ვბრძანებ**

1. თამარ ოკროშიძე (საქართველოს მოქალაქე (პ/ნ 12001030404), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სწავლების საბაკალავრო საფეხურის აკადემიურ პროგრამაზე – ჰუმანიტარული მეცნიერებები: ანგლისტიკა (მეორე პროგრამას არ ირჩევს) და სწავლას შეუდგეს 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

2. ბრძანება „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2013-2014 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე თამარ ოკროშიძის ჩარიცხვის შესახებ“ ბათილია ბრძანების გამოცემის მომენტიდან თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს თამარ ოკროშიძის პირადი საქმის მოწესრიგება.

4.დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში თამარ ოკროშიძისთვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის სამდივნოს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში“, სტუდენტის მონაცემთა აკრედიტაციისა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის სამმართველოებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამდივნოს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ თამარ ოკროშიძეს.

რექტორი

გიგი თევზაძე